პირველად საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში

2007 წლის 26 ნოემბერს, 18 საათზე GRENA-ს ოფისში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ჩაატარა პირველი ვიდეო-კონფერენცია, რომელიც წარმართა რატგერსის უნივერსიტეტის ამერიკამცოდნეობის დეპარტამენტის დამაარსებელმა და მისმა პირველმა ხელმძღვანელმა, თსუ-ს ამერიკანისტიკის სამაგისტრო პროგრამის კონსულტანტმა პროფესორმა მაიკლ როკლენდმა თემაზე "ამერიკამცოდნეობა: წარსული, აწმყო და მომავალი".

ამ ღონისძიებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმების ფარგლებში სწავლების უახლესი მეთოდების დანერგვას.

2007-2008 წელს თსუ-ში ამოქმედდა სამაგისტრო პროგრამა "ამერიკამცოდნეობა", (მოდულები: ამერიკამცოდნეობა და ამერიკული ფილოსოფია). პროგრამის კონსულტანტია რატგერსის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორი მაიკლ როკლენდი, ხოლო კოორდინატორი – თსუ პროფესორი ელენე მეძმარიაშვილი. სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს ამერიკელი პროფესორების on-line კონსულტაციებს, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობას, მათ მიერ ლექცია-სემინარების ჩატარებას და სწავლებას ვიდეო-კონფერენციების ფორმატით, რაც პრინციპული სიახლეა მთელ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

ვიდეო-კონფერენციის ინიციატორები და ორგანიზატორები გახლდნენ: თსუ ხარისხის უზრუნველყოფის და საინფორმაციო სამსახურები (ი. დარჩია, ზ. მოდებაძე, ა. ზაქარიაძე). თსუ-ს პარტნიორი კი გახლდათ GRENA (Georgian Research and Educational Network Association – ქართული სამეცნიერო და საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია, აღმასრულებელი დირექტორი: პროფესორი რამაზ ქვათაძე), რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია.

ლექციის შემდეგ გაიმართა ვიდეო-დისკუსია. ქართველი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შეკითხვებს ამერიკანისტიკის აქტუალურ პრობლემებზე, საქართველოში ამერიკანისტიკის განვითარების თავისებურებებსა და პერსპექტივებზე პროფესორი როკლენდი პასუხობდა. ვიდეო-კონფერენციის დასასრულს მან განაცხადა, რომ ძალიან ბევრ ქვეყანაში ყოფილა, მაგრამ მისთვის ყველაზე ნაყოფიერი და წარმატებული საქართველოში ვიზიტი აღმოჩნდა, რადგან მას კონკრეტული შედეგი – ამერიკანისტიკის სამაგისტრო პროგრამის აღდგენა, რატგერსისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის აკადემიური თანამშრომლობა მოჰყვა, რომლის ერთ-ერთი გამოხატულებაც ეს ვიდეო-კონფერენცია იყო.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თანამშრომელმა, ქალბატონმა მაგდა მაღრაძემ საელჩოს სახელით მადლობა გადაუხადა ვიდეო-კონფერენციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს. პროფესორმა როკლენდმა კი განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით მოიხსენია ამერიკანისტიკის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი და პირადად თსუ რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, რომლის ძალისხმევითაც თსუ-ში შესაძლებელი გახდა ამერიკანისტიკის სამაგისტრო პროგრამის აღდგენა.

აშშ რატგერსის უნივერსიტეტი, რომელსაც უნივერსიტეტების დღევანდელი რეიტინგით მსოფლიოში 46-ე ადგილი უჭირავს, უახლესი ტექნოლოგიური საშუალებების წყალობით და GRENA დახმარებით თსუ-ს სასწავლო პროცესში ერთვება. უახლოეს მომავალში გათვალისწინებულია ვიდეო-კონფერენციები როგორც რატგერსის, ისე ევროპისა და ამერიკის სხვა უნივერსიტეტებთანაც.